

ავეჯის შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

კოდი 39100000 - ავეჯი

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად. (იხ. <http://procurement.gov.ge/>)

ქ. ქობულეთი  
2013 წელი

**შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 5100 (ხუთიათას ასი) ლარი.**

**1. ტექნიკური დოკუმენტაცია:**

ა) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისად უფლება მოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული დანართი №1;

ბ) ფასების ცხრილი დანართი N2 მიხედვით, პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული.

**2. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები:**

2.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

2.2. მიწოდების ადგილად განისაზღვრება: ქ. ქობულეთი დავით აღმაშენებლის №141, ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №26 და დაბა ჩაქვი დავით აღმაშენებლის №16.

**3. ანგარიშსწორების პირობები:**

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება მიწოდებულ მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.3. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

**4. მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იყოს „1“ პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი, ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული.**

**5. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – დავით ნოღაიძელი – ტ. 426 26 69 16.**

### პრეტენდენტის რეკვიზიტები

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 📠 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

„—“ „—————“ 2013 წელი  
(შევსების თარიღი)

## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #----

ქ. ქობულეთი

„--“ „-----“ 2013 წელი

ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141), ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში - მიმწოდებელი) იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA) საოფისე ავეჯის შესყიდვაზე (კოდი 39100000 - ავეჯი), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ----- (-----) ლარად (შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”).

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელი – ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ავეჯის შესყიდვა (შემდგომში „საქონელი“), თანახმად ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №2–სა.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი, გარდა დღგ-ს.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი“-ს საბანკო რეკვიზიტებზე.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 საქონლის მიღება ჩაბარებას ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

5.3 მიწოდებული საქონლის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

## 6. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.2 მიწოდების ადგილად განისაზღვრება: ქ. ქობულეთი დავით აღმაშენებლის №141, ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №26 და დაბა ჩაქვი დავით აღმაშენებლის №16.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

### 7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად.

### 7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონელის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

### 7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის და ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად საქონელის მიწოდება.

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ფარგლებში საქონლის მიწოდების ინსპექტირებას ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას

შეწყვეტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## **10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## **11. დაუძლეველი ძალა**

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## **12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **13. გარანტია**

13.1 ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, აღნიშნულ საქონელს გააჩნია 2 წლიანი გარანტია.

13.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეკეთება ან მისი ახალი საქონლით ჩანაცვლება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

13.3 გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

#### 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და წყვეტს მოქმედებას ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთანავე.

#### 15. „შემსყიდველი“-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „შემსყიდველი“-ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141;

15.2 „შემსყიდველი“-ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890**;

15.3 „შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

#### 16. „მიმწოდებელი“-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „მიმწოდებელი“-ს მისამართი:

16.2 „მიმწოდებელი“-ს საბანკო რეკვიზიტები:

16.3 „მიმწოდებელი“-

„შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს თავმჯდომარე

ელგუჯა ბაგრატიონი

„მიმწოდებელი“ –